

572
1991

ISSN 0132-5967
ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՇՈՒՆՈՒՄՆԵՐ



33.

1991 թ. ՈՒՆՎԵՐՍԱԼ ԸՆԴՈՒՄ

ԲԵՆՈՒԿ

შეზენით

ასაღი წაღი

დადგა 1991 წელი.

ჩვენო პატარა მკითხველებო, გულით გილოცავთ ახალ წელს, ყოფილიყოს იგი მშვიდი, გონიერი, ღონიერი.

1990 წელი მძიმე იყო ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი საქართველოსათვის. იშვიათად იქნება ჩვენთან ოჯახი, სადაც ყოველდღიურად არ ისმოდეს შეწუხებული ლაპარაკი: საშინელება ბაზარზე, ათი წლის წინათ საქონლის ხორცი ღირდა 4 მანეთი, დღეს უკვე 20 მანეთია, ე. ი. ფასი გაიზარდა **ხუთჯერ** ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, როცა კარტოფილს 2 მანეთს აფასებენ კილოს, თაფლი (ძერე ვინ იცის, რა სიაღაღმართლობის თაფლი!) უკვე 15 მანეთი გახდა, მაღაზიები ცარიელია. თქვენს მშობლებს ეძღურით, რატომ არა გაქვთ სოსისები, ძეხვები, კარაქი, ყველი. დადის საშინელი ხმები — 1991 კიდევ უფრო მძიმე წელი იქნება, ვიდრე გამოვლდი წლებით. ჩვენმა მოსწავლეებმა საკმარისად ვერ მიიღეს რვეულები და სახელმძღვანელოები. არის სკოლები, სადაც ოთხი-ხუთი ბავშვი ერთი ძველი სახელმძღვანელოთი სწავლობს. გართულდა ბავშვთა ჩაცმა-დახურვის საქმეც. დიდები სწყველიან საკუთარ ბედს. თქვენ, პატარებო, რა თქმა უნდა, ნერვები გეშლებათ ამ ნაკლოვანებებზე მსჯელობით. დიდებს ხშირად ისიც კი ეჩვენებათ, რომ ისინი პატარებს სძულთ, თვით დედასა და მამასაც კი ეჩვენებათ ასე, და ნუ ქნას ღმერთმა, რომ ეს მართალი იყოს. ჩვენ თუ ამგვარ საძაღლობაშიც გაეხვიეთ, სიცოცხლე აღარ ეღირება ჩვენი ცის ქვეშ.

ჩვენო პატარა მკითხველებო, ყოველი დიდი სახელმწიფოებრივი გარდაქმნის დროს ყველგან უჭირდათ. არის ხოლმე შიმშილობა, ტან-ფეხშიშველობა. ერთი პაღტო მეგვიდრეობით გადაეცემა ხოლმე ნათესაობაში. მაგრამ იმ ხალხმა, ვინც ახლის შექმნისათვის იტანდა გაჭირვებას, ყველაფერს გაუძლო. ის „ნაბრძოლი ახალი“ მოვიდა და დღეს მშვენივრად ცხოვრობენ ქვეყანაზე.

ასეთი თავშეკვება გვმართებს ჩვენც. გაუგეთ, პატარებო, მშობლებს. ხელი შეუწყეთ ამ გაჭირვებაში მათ. ნუ გადაუყრით ტანჯვით ნაშონ თქვენს ფეხსაცმელებს, რაკი ვიღაცას უკეთესებაც აცვია. გაუფრთხილდით, ხშირად გაუღიმეთ დედასა და მამას, და-ძმებს, მეგობრებს. მაღალ ღმერთს ვთხოვთ, 1991 წელი უკეთესი ყოფილიყოს გასულ წელთან შედარებით: პირველ ყოვლისა, თქვენ შეგვიწით ახალი წელი, ჩვენი პატარებო!





გუგა ბიჭია ქართველი,
მუხლი აქვს მამანაშურით,
ის სხვა მშით ვეღარ დათბება,
ვერ დანურდება სხვა ზურით.
მამაა მისი მამული,
დედაა მისი დედული,
ისეთი საქართველო აქვს,
მის უბედობას ეძღურის.
როდესაც ამ მოა-მდგლოში
თავის თავს იგრძნობს ზატრონად,
იტყვის: ვნახე და მოვესწარ,
რასაც ბაბუა ნატრობდა.

ახალწლის სიძეობა


ელგუჯა ოგოლაშვილი

ტაში! ტაში! აბა, ტაში!
მამ, სიძერა და თამაში!
— დღეს ახალი წელია,
შემოვმანთ დელი-დელა,
ნამვის სეა ზეცის სელა,
ზურმუხტებით დაქარგული,
ბრჭყვიალა და ციმციმელა.
ტაში, ბიჭო, გოგოვ, ტაში,
შევეჯიბროთ ლექსის თქმაში
— დღეს ახალი წელია!
ცას ფიფქების ჩუქურთმები
ამკობს ვერცხლის შუქურთმებით,
შევეგებოთ! — ეველამ ტაში!
მანა მოდის საჩუქრებით.
ჰა, დაჯექით ტაში, ტაში,
ზეიმიან ბარში, მთაში
— დღეს ახალი წელია!



მხატვარი ლალი ლომაია

ქართული
ბავშვთა
ბიბლიოთეკა



ახალი წლის ღამე

მერი ბოლქვაძე

მხატვარი თამაზ სუციშვილი

ძლივს გაიარა მთელმა დღემ...

ძლივს ჩამოღამდა...

კიდევ რამდენი უნდა უცადონ ირაკლიმ და ნინომ, რომ ახალი წელი მობრძანდეს?! წარამარა საათს უყურებენ, ის კი, თითქოს ჯიბრზე, ზოხინით მიიწევს წინ, სულაც არ ჩქარობს, სულაც არ ენადღებება, ვის ეჩქარება, ვის არა დროის გასვლა... უღარღვლად წიკწიკებს...

ოთახში თბილა. სიმყუდროვეა.

ფანჯრის რაფაზე ბაწრის გორგალივით მოხვეულს სძინავს ლამაზ შავ კატას.

გარეთ?

გარეთ ცივა, ყინავს...

თოვლი?

თოვლი არ მოდის: ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჭაჭანებს, ცივი ჰაერით გაკრიალებული ცა ოქროსფრად მღელვარე მთვარითა და ვარკვლავებითაა მოჭვდილი და, აბა, თოვლი როგორ მოვა?..

როგორ მოვა და...

უცერად ქარი ამოვარდა; ისე დაუბერა, ისე დაუბერა... ნადირივით მოაწყვდა ფანჯარას, შეაწანწანა; ხის შიშველი ტოტები კატის ბრჭყალებივით მოსდო მინას და გაუხვავუნა...

ირაკლიმ და ნინომ ერთმანეთს შეხედეს, მერე სათამაშოები დაფარეს და საშხარეუ-

ლოში გაიქნენ, სადაც ირაკლის დედა და ნინოს დედა საახალწლო ნამცხვრებს აცხოზდნენ. შევარდნენ და დაიყვირეს: — ქარი ამოვარდა!..

— ჩვენ არ გვესმის, თუ რა! რა გავყირებთ?! — გაეცინათ დედიკებს. ირაკლი და ნინო კი ისევ უკან გაცვივდნენ ოთახში; ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოცივიდნენ, ისევ ყვირილით:

— ქარმა ღრუბლები მორეკა: ცაზე აღარც ვარკვლავებია, აღარც მთვარე.

— მერე? მერე რა?!.. — ისევ გაიცინეს დედიკებმა და ისევ განაგრძეს საქმე.

— მერე რა და, ბრაზიანი ახალი წელი რად გვინდა?! — ჩაიბურტყუნა ირაკლიმ. ნინომ დაუმატა დანანებით:

— თოვლის პაპაც ვვლარ მოვა.

— ვითომ რატომ ვერ მოვა, რა დაუშლის?! — საშხარეულოში უცბათ საიდანღაც მამიკობეიც გამოჩნდნენ; — არც ახალი წელია ბრაზიანი და არც თოვლის პაპას ეშინია არაფრის. ახალმა წელმა ქარს მხოლოდ იმიტომ მისცა ღრუბლების მოყვანის უფლება, რომ ღრუბლებს კიდევ თოვლი მოეყვანათ საჩუქრად.

— მეტი არაფერი? მარტო თოვლი საჩუქრად?

— მეტი? მეტი როგორ არაფერი, სხვა

რამეებს თოვლის პაპა მოვითმანთ. ახლა კი...

— ახლა კი?..

— ახლა კი საწოლებში, ძილის დროა!

— ნაძვის ხე... ნაძვის ხე რომ არ არის მორთული?! — მოაგონდათ ირაკლის და ნინოს. მამიკოებმა დაამშვიდეს:

— ნაძვის ხეს თოვლის დედოფლები მორთავენ ამდღამ.

ირაკლი და ნინო, უნდოდან თუ არ უნდოდან, დასაძინებლად გაბრძანდნენ საწოლ ოთახში...

დღლით ძალიან, ძალიან ადრე გაღვიძდა ორივეს. გაახილეს თუ არა თვალი, წინ აესვენათ სადარბაზო ოთახიდან გამომზირალი, ნაირფერი სათამაშოებით გაბრჭყვიალებული, ჭკერზე წვერით მიბჯენილი ნაძვის ხე. ოჰ, რა ლამაზი იყო, ოჰ, რა ლამაზი იყო... ნაძვის ხის გარშემო ლამაზი შავი კატა დარბოდა, ხან ერთი მხრიდან ჩაუქრთლებდა, ხან მეორე მხრიდან, ხან რომელ სათამაშოს გაჰკრავდა თათს და გააჩხაკუნებდა და ხან რომელს...

ფანჯარაში კი ოდნავ მიწვნარებული ქართი აფრიალებული თოვლის დიდი ფანტლები იყო ჩანატული და ირაკლიმ და ნინომ ბებოს ლექსი გაიხსენეს:

რა ლამაზად თოვს...
რა ლამაზად ბარდნის...
ჩიტო საკენკს მთხოვს...
ტოკავს მუკვლის ბარდი...
ქარი შლის, ვერ შლის
თოვლის აბლაბუდას...
ვიღაც შემას ჭრის,
ვიღაც ისერის კუნდას...
ციუკი ნაძვზე ხტის...
ეინვა ზამთარს ხატავს,
ფანჯარაში ზის
ფიქრიანი კატა...
ბუსრიდან ეოფს ცეცხლი
ეკვლა ენას ერთად,
თან ნაწერწკლებს გვესერის
ცი-ცი-ნა-თე-ლე-ბად...

კარზე დარეკა ვიღაცამ.

ირაკლი და ნინო წამოხტნენ, ისევე მის პერანგის ამარანი ეცნენ სადარბაზოში გამავალ კარს, გააღეს და კარის წინ ორი დიდი ხავერდის დალუნია იჯდა კამფეტებით სავსე პარკებით.

თვითონ თოვლის პაპა სადღა იყო?

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მიხვდნენ: სად უნდა ყოფილიყო, დადიოდა მთელ ქვეყანაზე და მთელი ქვეყნის ბავშვებს სათამაშოებს და კამფეტებს ურიგებდა.

თოვს, ლამაზად თოვს...

ბარდნის, ბარდნის, ბარდნის...

ჩიტო საკენკს მთხოვს...

ტოკავს მუკვლის ბარდი...



გიორგი შთაშაური

სანამ წალკოტს ცხელ-ცხელი
 სორშაყები დაჰკოდავს,
 მოისმინეთ ძახილი
 სკოლის საგუშავოდან,
 ჩვენს დედებუნების
 დაცვის საგუშავოდან:

სანამ ცვარი ბალახში
 შხის სხივებზე ბრჭყვიალებს,
 სანამ სიო ცქრიალებს,
 ხენი ჭალებს ამკობენ, —
 ნუ გავაჭუჭუიანებთ,
 ნუ გავაჭუჭუიანებთ,
 ნუ გავაჭუჭუიანებთ
 ჩვენს სამკვიდრო-სამყოფელს!
 საფიქრალი ჩვენს ირგვლივ
 მთაც არის და ბარიცა,
 მთაშიც, ბარშიც, — სუვეკლებს
 სისუფთავე დავიცვათ!
 სიფაქისე დავიცვათ!
 სიკელუსე დავიცვათ!
 დაას!
 ეოველწამიერ

საფიქრალი ეს არის —
 რომ არ განდვს გარემო
 ცოდვით დანაკუნესარი,
 რომ ტყე არ გაიხეოს,
 არ ამოშრეს მდინარე,
 ზღვა არ დანავიანდეს...
 სად შეწერი მძვინვარებს, —
 მთა ზედ არ გადმოგვემოს
 ზათით განსაკვირვლით,
 არ ამოწვდეს უწვალოდ
 ნადირი და ფრინველი,
 რომ დათრგუნულ ცხოველებს
 არ წაუხდეთ გუნება,
 რომ არ შეწვდეს ფრინველთა
 ლალი აელურტულება,
 რომ არ შეწვდეს მდინარის
 ჩქერთა აგუგუნება,
 რომ არ შეწვდეს ტყეებში
 ხეთა აბუბუნება —
 გავუფრთხილდეთ,
 გავუფრთხილდეთ,
 გავუფრთხილდეთ ბუნებას!
 გავუფრთხილდეთ ბუნებას!
 გავუფრთხილდეთ ბუნებას!
 გავუფრთხილდეთ ბუნებას!



ღუღის პეტი

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

აი, იმ მთის ფერდობს ხომ ხედავთ?! — თქვა კატო ბებიაშ და ფანჯარასთან წიწილეებით მიქუჩებულ შვილიშვილებს შორის თერ ნისლში თავშერგული, ტყიანი მთის ფერდობი დაანახვა.

— ვხედავთ, ბები, ვხედავთ! — ერთხმად მიუგეს ბავშვებმა და სმენად იქცნენ.

— ეხლა ტყეს რომ გადაუვლია, წინათ მაგრე კი არ იყო! მთის ფერდობს პატარა ახო აშშვენებდა. ახო, გენაცვალეთ, ტყეში სათესად გაკაფული ადგილია. ახოს მამაჩემი ხარის გუთნით ხნავდა და შემოდგომობით ხორბალს თესავდა. მარცხენა ხელით, თითქოს თოთო ბავშვი აუყვანიაო, მკერდზე ხორბლით სავსე ვედრო ჰქონდა მიკრული, მარჯვენათი მუჭა-მუჭა მარცვალს იღებდა, ხნულში ფანტავდა და იძახდა:

- ეს ჩიტებს!
- ეს თავგებს!
- ეს ჩვენ!


— თავგებსა და ჩიტებს რალათო?! — გაუკვირდათ კატო ბებიას შვილიშვილებს და პასუხის მოლოდინში მოხუცს შეაჩერდნენ.

— იმიტომ რომაო, ეგენიც ღვთის გაჩენილები არიან და არსებობა უნდათო. თავიანთ წილს რომ მიირთმევდნენ, ადამიანის წილ სარჩოს აღარ გაეკარებოდნენ, ესე გვწამდა და ესე გვჭერა.

— ხო, დათესავდა ხორბალს მამაჩემი; მოვიდოდა ციდან ყუყუნა წვიმა, აი, იმისთანა, მიწას რომ ჩააბუშბუშებს. გაიღვიძებდა, გაღვიდებოდა მარცვალი და მთის ფერდობი ჭეჭილით მწვანედ გადაიჩითებოდა. გაზაფხულობით ხომ საამურო სანახავი იყო, მაგრამ უფრო თვალის

გასახარად ზაფხულობით მოჩანდა, ცა პურის ყანას სიყვითლე შეეპარებოდა და დამწიფებული თავთავი მორცხვი პატარძალივით თავს დახრიდა. ნიავი რომ გადაურბენდა, გეგონებოდათ, ვილაცის უჩინარმა ხელმა ოქროს სავარცხელი გადაუსვაო, ერთ მხარეს ტალღა-ტალღა გადაიწყოდა და ზღვასავით მოჰყვებოდა ღელვას.

— უანა დამწიფებულა, ხვალ სამკაულად მივიღვიართ! — იტყოდა მამა და ავჯიყვდებოდა დიდ-პატარას ალიაქოთი. ცხრანივე, — დედაჩემმა, ვენაცვალე იმის ნათელ სულს, ხუთი ბიჭი და ოთხი გოგო გაგვჩინა, — დავფაცურდებოდი, ვინ ნამგლებს ლესავდა, ვინ სანოვაგესა და ჭამ-ჭურჭელს ვამზადებდით, რომ რამე არ გამოგვრჩენოდა და მეორე ღღეს უა-



მხატვარი ვაჟა ქარსული

ნის მკისას არ შევრცხვენილიყავით.

ექვს ნამგალს რა უანა გაუძღებდა, შვილო, მგლის მუხლი და დევის მკლავი ჰქონდათ მამაჩემსა და ჩემს უფროს ძმებს. იმათი გამონამკალი ხელეურების მოგროვებას, ულოს გრეხვასა და ძნის შეკვრას ქალები ძლივს ვასწრებდით, გადაგვდიოდა პირზე ხვითქი.

მერე რა პური იცოდა ახოში დათესილმა ხორბალმა, ნულა მკითხავთ. ისეთ გემრიელ, ყუადაბრაწულ და ღვედივით მოქნილ შოთებს აცხობდა დედაჩემი, ჭამით ვერ გაძღებოდით.

ახოში მოყვანილ პურს ყველაზე მოუთმენლად ახალი წლის წინა დღეს მოველოდით ბავშვები. დედა ღულს აცხობდა და იმიტომ.

— ღული?! —

— ღული რაღაა, ბებია?! — გაისმა აქეთ-იქიდან გაკვირვებული ხმები.

— გეტყვიო, შვილებო, გეტყვიო! ღული, ჩემო თვალისჩინებო, პურია. შოთივით გრძელი და ყუიანი, ოღონდ ფრჩხილის მხარეს ხერხის კბილებივით

დაჭრილი. ცხვებოდა საახალწლოდ ნამგლის სიმბოლოს გამოხატავდა. ოჯახში იმდენი ღულის პური ცხვებოდა რამდენი მამაკაციც ითვლებოდა. აქაოდა მომავალი მიწის მუშა და ნამგლის დამჭერიო, — აკვანში მწოდ ბიჭსაც ღულს უცხობდნენ, ახალ წელს იმით ულოცავდნენ, — დაეკვებოსო.

თონე რომ გახურდებოდა, მცხობელი პურის ჩაკვრას ღულით იწყებდა. ვარცილიდან ამოღებულ ცომის გუნდას ჩურჩხელასავით დააგრძელებდა, ცალ მხარეს გააბრტყელებდა, ასტამით დაჭრიდა და თონის პირს მიაკრავდა.

არც გოგოებს გვტოვებდნენ გულნაკლულს, ბადრი მთვარესავით მრგვალ, შუაში გახვრეტილ ბედიკვერას და პურის მაკრატლებს გვიცხობდნენ, რომ ცხოვრებაში კარგი ბედ-იღბალი და ოჯახის კაი ქალობა დაგვკვებებოდა. ნეტაი იმ დღეს...

ენლა ღულის პურს საახალწლოდ ადარავინ აცხობს. იმიტომ, რომ ნამგლით ყანის მკელი სანთლით საძებარი გახდა.

ცირა კიტრაშვილი


ზამთარი

არსაით არ ჩანს
ტყეში ხე,
შიშველი, დედიშობილა,
თეთრი ქურქით და ბოხოსით
ბუჩქიც კი გამოწვობილა.
ნამვი გორაკს ჰგავს,
მუნა — დევს.

შინდზე, მუევალზეც
თოვლი მევს.
გუთაუვებლად ბარდნის დღეს,
ზეცა გვპირდება კიდევ ბევრს...
საოცრებაა სამთარი,
ცივ-ცივი, თანაც
ჩამთბარი.

შარშან თუშეთში, ომალოში ვიყავი. ის რამდენიმე გამორჩეული, წუთისოფლის ჩვეულებრივ, ნაცრისფერ მდინარე-ბაში ლამაზად შემოჭრილი დღე ახლაც წმირად მასხენდება: აგვისტოს დილიდანვე დასიცხული თბილისი, კახეთის გზატკეცილზე ცხელი ქარის შემოფეთება სახეზე (სატვირთო მანქანის ძარაზე ვზივარ ორ ამხანაგთან ერთად), უჯარმა, ალაგ-ალაგ ტყე-ბუჩქებით შეფენილი გორაკები, გომბორის აღმართი და უღელტეხილზე პურისჭამა, ფსიტის ციხე, თელავში ღამის გათევა... დილის ბაზარი თელავში, მომაჯადოებელი ხედი — ალაზნის ველი და დაღესტნის მთები; მერე ისევ გზა და გზა... სოფელი ფშაველი, ზღაპრული სტორის ხეობა, თორღვას აბანო, გაუთავებელი დაკლაკნილი აღმართი, უბედურად დაქანებული ფერდობები, მანქანიდან გადმოხედვისა რომ გეშინია; როგორც იქნა, უღელტეხილი და — თუშეთის ხედი: ვიწრო ხეობა და მთები, მთები... დიდებული ამინდი — მზეზე ბრწყინავს დათოვლილი მწვერვალები, გრილი ნიავი აქანავებს ალპურ ყვავილებს... დაღმართი, მერე მდინარეს ვეკიბრებით რბოლაში, თვალი ხარბად აკვირდება წიწვოვნებით შეფენილ ციცაბო ფერდობებს და აი, სადღაც, უსაშველო სიმაღლეზე თუშური სოფელიც გამოკრთება... აღმართი, დაღმართი, ხიდები, ისევ აღმართ-დაღმართი, ისევ თუშური სოფლები ზევით; მაღლა — „არწივის ბუდეხავით“ — ციხე-კოშკები და მთები, მთები, მთები... ფერდობებით შემოჭრილი ხეობა უცებ გაიშლება და — ომალო!..

საკმაოდ დიდი, შედარებით სწორი ზეგანი, ზეგანის კიდეზე ჩარიგებული



ძველი და ახალი სახლები, რაღაც საწყობები, ვერტმფრენის დასაჯდომი მოედანი, უკვე გადაყვითლებული ქერის ყანები; გორაკებზე — ციხე-კოშკები, მანქანები, ტრაქტორები, ხალხი მიდი-მოდის...

თუშეთის კვალობაზე დიდი სოფელია ომალო.

მრავალსაათიანი ჯაყჯაყისაგან გამოსავათებულნი უცებ გამოცვოცხლდით, ვდგავართ შუაგულ სოფელში და გარშემო ყველაფერს თვალებით ვჭამთ. რა თქმა უნდა, არც მანქანა-დანადგარებს, არც ვერტმფრენს მივაჩიინდით მინც-დამინც, კახეთის მხრიდან რომ გამოჩინდა — ჭერ გუგუნის მოისმა, მერე წერტილად დააჩნდა ზეცას, გაიზარდა, გაიზარდა, გაიზარდა, გამოება კულდ; მერე სადღაც გვერდით გაუხვია, ჩამოყვინთა ხეობაში, ნელ-ნელა ნახევარწერ შემოხა-



ზა და დაჯდომისას მტვერი აიტაცა ჰაერში...

ველაპარაკებით გამვლელ-გამომვლელს, უმეტესად შოფრებს (მანქანისათვის ზეთი გვჭირდება), ცხენებიან პანკისელ ქისტებს.

და ამ დროს... ამ დროს დავინახე ის, რაც ახლაც ცხადად, მკვეთრად ამოტივტივდა მესხიერებაში, კალამი ამაღებინა, იმდენად შთამბეჭდავი იყო, ამასთანავე სრულიად უბრალო, დანარჩენებისათვის, შესაძლოა, ყოველგვარ ინტერესს მოკლებული.

მას ასე: ჩვენგან დაახლოებით ორასი მეტრის მანძილზე ბიჭი თავდაღმართში მიაგელვებდა ქურანა ცხენს — რაღაც უჩვეულო გამეტებით მიაჭენებდა; ქარი თმებს უწეწავდა და ცხენის ფაფარსაც მიაფრიალებდა. ისეთი უინი და აღ-

ტაცება ჩანდა ცხენ-მხედრის გავეშებაში, რომ წამით შიშის ნაპერწკალმაც გამკრა გულში — ვაითუ წაიბოროდიოს ცხენმა და...

კიდევ დავიძაბე, რადგან გაფრენილი ცხენ-მხედარი ახლა ოქროსფერ, ქარისაგან აღაღანებულ ქერის ყანაში შეიჭრა. თითქოს მიცურავდნენ — რატომღაც სანახევროდ ჩანდნენ (ნუთუ ქერის ყანა ასეთი მაღალი იყო?) მე თითქოს მესმოდა ბიჭის ყიჟინა, ვხედავდი მისი მაღლა ამართული მათრახიანი ხელის ტრიალს, ცხენის თავის აჩქარებულ, რიტმულ რჩევას, ვგრძნობდი პირუტყვის გაფართოებული ნესტოებიდან ქშუტუნით გამოსროლილ ცხელ ჰაერს...

ეს ხატი სულ ალბათ რამდენიმე ათეულ წამს თუ გრძელდებოდა, მაგრამ უსაშველოდ გაწელილი მომეჩვენა. და აი, ბიჭიც და ცხენიც რაღაც ხე-ბუჩქებს მიეფარნენ და აღარ გამოჩენილან. მე კი ვიდექი და ჩემი თავდაპირველი შეძრწუნება აღტაცებამ შეცვალა...

კაციშვილს არ მიუქცევია ყურადღება ამ მართლაცდა ჩვეულებრივი ამბისათვის. მე გამეცინა კიდევ საკუთარ თავზე — ნუთუ ასე შეიცვალა ქალაქელი კაცის ფსიქოლოგია, რომ ღირსშესანიშნავს ხედავს იმაში, რაც საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრებისათვის ყოველდღიურობას წარმოადგენდა?..

ზღაპრული ღამეც გავათით მღვრიე, მბორგავი, თუშეთის ალაზნის ნაპირზე, თბილისამდე უკანა გზობაზეც ბევრი საინტერესო შეგვხვდა, მაგრამ ახლა, როცა იმ მოგზაურობას ვისხენებ, უპირველესად და ყველაზე ცხადად სწორედ ის ნახევარი წუთი წარმომიდგება თვალწინ: ბიჭი თავდავიწყებით, უგზოუკვლოდ მიაჭენებს ქურანა ცხენს.

ერთ არსად ქვეულან თავისუფლება და სილამაზე.

საიშალო გიჭი

გიორგი გიგაური

როცა ზატარა იყავი,
 ზაწაწკინებდა ჭკუითა,
 შენს მამასთან სათამაშოებს
 იოფდი ვაით, ვუითა.
 ხან თავისასაც უთმობდი,
 ხან საკუთარსაც ართმევდი,
 ძილის წინ ჭირვეულობდი,
 დამეს ბუსუნით ათევდი.
 მოგნათლეს „ცელქის“ სახელით,
 გარიგეს,
 ბევრი გარიგეს,
 ბევრჯერ დაგსაჯეს კიდევაც,
 რა დათვლის იმ „შავ თარიღებს“...
 ახლა ბიჭი ხარ ნამდვილი,
 კეტივით, —
 ასრულებ ზირნათლად,
 შვილივით ეიმედები

მხატვარი ვაჟა მარხული



ამ ესო-ქუჩის ბინადართ.
 სადაც საქმეა საშური,
 შენც იქ ტრიალებ მეტწილად,
 მოხვალ და მომეფერები,
 თუკი რაიმე შეწვინა.
 რომ გირჩევ,
 იმ წიგნს კითხულობ
 და წაეითხულისაც მიაძობ,
 გიყვარან:
 მხალო,
 ძიძია,
 ელგუჯა,
 გოჩა,
 იაგო.
 ალუღაი და
 ჯოჯობა,
 კვირიაი და
 ლელაი...
 უმაძაცესი გძირები
 ვერ დაგაზიწვოს ვერაზინ.



ქელი და ახალი წელთაღრიცხვა

უმეველესი დროიდან ახალი წელი მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში სულ სხვადასხვა დროს დგებოდა და ადგილობრივი მოსახლეობა მას თავისებურად, მხოლოდ ამ ერთენების ხალხისათვის დამახასიათებელი რიტუალებითა და წეს-ჩვეულებით ხვდებოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 20 საუკუნის წინ, ანუ ქრისტე ღმერთის მოვლენამდე (რომლის დაბადების დღეც ახალი წელთაღრიცხვის საწყისად და პირველ წელად არის მიჩნეული), მსოფლიოს უმეტესი ქვეყნები მთვარის კალენდრით სარგებლობდნენ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მთვარის ფაზების მონაცვლეობა დედამიწიდან გაცილებით იოლი შესამჩნევი იყო, ვიდრე მზის ფაზების მონაცვლეობა. მთვარისმიერი წელიწადი შეიცავს 30 და 29 დღე-ღამიან 12 თვეს

(354 დღე-ღამე). ამ კალენდრით ყოველი თვის პირველი რიცხვი უნდა ემთხვეოდეს ახალმთვარეობას. რადგანაც მთვარისმიერი წელიწადი 11 დღე-ღამით მოკლეა მზის წელიწადზე, ეს დიდად ართულებს თარიღების გაიგივებას. მთვარის კალენდრით დღესაც სარგებლობს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. მაგ: ერაყი, ლიბანი, სირია, ალჟირი, ტუნისი, და მას ჰიჯრას კალენდარს უწოდებენ.

მთვარეზე გაცილებით რთულია მთვარე-მზისმიერი კალენდარი, რომელიც ითვალისწინებს მზის ხილული წლიური მოძრაობის შეთავსებას მთვარის ფაზების მონაცვლეობასთან. ძველად ასეთ კალენდარს ხმარობდნენ ბაბილონში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში.

ახალი კალენდარი პირველად აღექსანდრიელი ასტრონომის სისოვენეს რჩევით ძვ. წელთაღრიცხვის 46 წელს შემოიღო თულიუს კეისარმა. ამ კალენდრით ყოველი წელიწადი, რომლის ნომერიც ოთხზე იყოფა, ნაკიანია და შეიცავს 366 დღე-ღამეს. ამრიგად თულიუსის კალენდარში წელიწადის საშუალო ხანგრძლივობაა 365,25 დღე-ღამე და იგი სულ მცირედდენით მეტია ტროპიკულ წელიწადზე, მაგრამ 400 წელიწადში მისი ცდომილება 3 დღე-ღამეს შეადგენს. ამიტომ თულიუსის კალენდარი საბოლოოდ მოაწესრიგა რომის პაპმა გრიგოლ XII-მ და 1582 წელს თულიუსის კალენდარი «დამაშურკვა», ანუ შეაჩერა. რადგან ამ დროისათვის ეს კალენდარი მთელი 10 დღე-ღამით «ჩამორჩებოდა» ბუნებას, სწორედ ამიტომ რომის პაპის გრიგოლ XII-ის პატივსაცემად დაერქვა შესწორებულ კალენდარს გრიგორიანული. ასეთ წელთაღრიცხვას ახალ სტილს უწოდებენ.

რუსეთში ახალი სტილი, ანუ გრიგორიანული კალენდარი მხოლოდ 1918 წელს აღიარეს და რადგან ამ დროისათვის თულიუსის კალენდარი უკვე 13 დღე-ღამით ჩამორჩებოდა «ბუნებას», ამიტომ პირველი პირველად 14 თებერვლად გამოცხადდა. ამჟამად მსოფლიოს ყველა განვითარებულ სახელმწიფოში გრიგორიანულ კალენდარს იყენებენ.

საქართველოში გრიგორიანული კალენდარი 1918 წლის 1 მაისიდან დამკვიდრდა.

მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში, ქუთაისის მახლობლად, საქართველოს სახელგანთქმულმა მეფემ დავით აღმაშენებელმა დააარსა გელათის მონასტერი.

გელათი საკმაოდ მაღალ მთის ფერდობზეა აშენებული. აქედან კარგად მოჩანს მწვანეში ჩაფლული იმერული კობწია სოფლები, შორეული მთები და ხეობები. მემატანე გადმოგვცემს, რომ დავითმა „მოიგონა აღშენება მონასტრისა... ადგილსა უოვლად შუენიერსა და უოველითურთ უნაკლოსა“.


გელათის ტაძარი მოზრდილი გუმბათიანი ნაგებობაა, აშენებულია კარგად გათლილი მოყავისფრო ოქროსფერი კვადრებით — თქმულების თანახმად ეს მოზრდილი ქვები თავად მეფე დავითის დაწყობილია. ტაძარი შიგნიდან მოხატულია ფრესკებით (ფრესკები XII-XVII საუკუნეებშია შესრულებული),

განსაკუთრებით შესანიშნავია საკურთხევის კონქში გამოსახული ღვთისმშობლის მოწაიკური გამოსახულება.

გარდა მთავარი ტაძრისა, აქვეა დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განათლების კერა — გელათის აკადემია. გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი და სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერები. აქ სწავლობდნენ და განათლებას ღებულობდნენ ქართველი ახალგაზრდები.

მონასტრის ფართო ეზოში მოგვიანებით აშენდა ორი მცირე ეკლესია და სამარეკლო. ყველა ეს ნაგებობა, ერთობლივ, შესანიშნავ ანსამბლს ქმნის და მნახველზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს.

და კიდევ გელათი იმით არის ძვირფასი ქართველებისათვის, რომ აქ, მისივე ანდერძით, დაკრძალულია მეფე დავით აღმაშენებელი.



პატარა ბიჭები და კარატე


ნესტან კუპრაძა

ჩვენი სახლის ბიჭუნებს
ძლიერ უყვართ კარატე,
ისე გადარეულან,
სხვას არ ცნობენ არაფერს.
აღვსენებულად ევებიან
ათასნაირ არაკებს:

- ვაჰ, ბიჭებო, კარატე!
- ოჰ, ბიჭებო, კარატე!
- უჰ, ბიჭებო, რა კარგი
სწავლავს არის კარატე!
კარატეს თუ უსწენებთ,
სახე გაუბრწყინდებთ,
კარატესე ბაასი
არასოდეს სწყინდებთ.
- ბრუსლი ვნახე კინოში,
ბიჭო, რა მგაზრია!
- ვაჰ, კინალამ გავკვიდი,
ქაჯია თუ ქარია.
- დღე ვიდუოკახეტა
მოიტანა თანდილამ.



ოჰ, რა კარატე იყო —
გააფრენდით ნამდვილად.
— ბრუსლზე იყო...
— შენ, ბიჭო,
ბრუსლი ღმერთი გკონია?
მასზე უკეთესებიც
ბევრი გამოიგონია...
— ვინა, ბიჭო?
ბრუსლს ქვეყნად
არვინ ჰეუდა ცალია.
კარატეს მეფე იყო,
კარატისტა თვალთა...
გაცნარებულ კამათს კი
სწორად ჩხუბიც მოჭეკვება,
დედებს მიჭეკვთ ბიჭები
ჩაღურჯებულლოყება.
კარატესე ოცნება
მათ გონებას აბრუნებს,
მკვეთი შეძახილები
არემარეს აურუებს.
რა ქნან ბიჭუკალებმა,
ძლიერ უყვართ კარატე.
ისე გადარეულან,
სხვას არ ცნობენ არაფერს.



შატვარი ბასო ხიდაშელი

მასწავლებელმა ბავშვებს თითებზე გადაუთვალა:

— პირველი, მეორე, მესამე... ხედავთ, უკვე მესამე კლასის მოსწავლეები ხართ. დროა, უკვე მიეჩვიოთ სკოლის წესებს და დისციპლინას. სულ ხომ — გაჩუმდით, გაჩუმდით — არ უნდა გიძახოთ?!

გიაშ მასწავლებლის სამ მოკეცელ თითს თვალი გააყოლა. გაუხარდა, რომ უკვე დიდი ბიჭია. მალე უფროსკლასელი გახდება, ისიც უფროსკლასელებივით ფეხბურთს და ფრენბურთს ითამაშებს და თავს მოიწონებს.

ბოლო ვაკვეთილი დამთავრდა, მაგრამ მაშინვე შინ არ გაქცეულან, სკოლის წინ დადგნენ. იქ ორი მეოთხეკლასელი ბიჭი რაღაცაზე დავობდა.

ოქტომბრის ნაწვიმარი, მოწმენდილი დღე იდგა.

ბავშვებს ეს მუდმივ სალაპარაკოდ ჰქონ-

დათ, — ვინ ვის მოერეოდა ჭიდაობაში და, საერთოდ, ვინ უფრო ძლიერი იყო.

გიას კლასელს მისი მეზობელი, მეოთხეკლასელი ამოსდღომოდა გვერდით და გიაზე უთითებდა, მოერევი თუ ვერაო.

ის ბიჭი ახლა გიას მოუბრუნდა:

— ვერ მოერევი, ტანად შენზე პატარაა, მაგრამ სწრაფია. — აქებდა იგი თავის მეზობელს.

— მოვერევი, აი, ნახე, ნახე!

გიაშ ჩანთა დადო და იმ ბიჭს ბეჭებზე ხელები შემოაჭდო. გადასწია, აი, თუ ვერ წავაქცევო!

ნაწვიმარ მიწაზე აბა, როგორ გაიმეტებდა, თანაც მისი ახალი სვიტრი დაენანა და ხელი გაუშვა. იფიქრა, არ გამწირავს, ამ ტალახში არ ჩამაგდებს, რაც არ უნდა იყოსო, მაგრამ ნურას უკაცრავად. ხელის გაშვება და იმისი წელში შევარდნა ერთი იყო. ის ბიჭი,



ლია კობალაძე

შემახილმა გაამხნევა თუ გაბრაზდა, — რისთვის მაქცევდალო, — მთელი ძალით მიაწვა. ვაი გადაიწია, თავი ვეღარ შეიკავა და ტალახში მოადინა ზღართანი. ახლა კი იკადრა გაბრაზება. რაც შეეძლო, ძალა მოიკრიბა, მაგრამ ვერას გახდა. პირიქით, აღელვებისაგან გული ყვლიში მოებჯინა და ძალა სულ გამოვლია. ხან აქეთ გადააკოტრიალებდა მოწინააღმდეგე, ხან იქით. ბოლოს ტირილი აუვარდა. არა იმიტომ, რომ იძლია და ტალახში ამოსვარეს. არა, არა. როგორ მოხდა, თვითონ შეიცვალა, არ წააქცია, ამან კი...

— ვაი შენი ბრალი, ვაი, ვაი! არ ვინდა სახლში მისვლა ასე ამოტყვარქნილს? რას გიზამს დედაშენი, შე საცოდავო! — გაიგონა ვაი თავისი ნათესავის — ქეთო მასწავლებლის ხმა.

წამოვიდა დასერილი, ნამტირალევი. სახლში ჩუმად მიიპარა. ბუდზე შინ არავინ დახვდა. მაინცდამაინც არც ტალახი ემჩნეოდა მის ისედაც ტალახისფერ ქურთუკს. ეტყობა ქეიშაინი მიწა სუფთად შემშრალიყო და ჩამოცვენილიყო. მხოლოდ იდაყვები გაიწმინდა ჯაგრისით.

ის შეცდომა კი დაამახსოვრდა. მეორე დღეს შორიდან ოდნავ დაზვეერეს ბიჭებმა ერთმანეთი. ვაი არაფერს არ აპირებდა. შიშით კი არ ეშინოდა, მაგრამ დამარცხების შემდეგ მაინც რაღაც დაჯანბნას გრძნობდა. მისდაუნებურად თითქოს გაურბოდა კიდევ იმ ბიჭს. თან ეჯავრებოდა მტვერში დასვრა და ტანსაცმლის წეწვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მერხებს შორის მოუხდათ პირისპირ შეხლა. გაეჭიმა ის ბიჭი, მაშინ ხომ მოვეერიე, ვერას გაბედავსო.

ახლა კი იფიქრა ვაიამ, თუ დავუთმე, მერე მორჩა ჩემი ბიჭობათ. არც აცია, არც აცხეულა, ეცა და შიგ მერხებს შორის ჩააწვინა. იმან მეტი ვერაფერი ქნა, მხოლოდ სახეზე მოკაწრა. ამასობაში მასწავლებლებიც გამოჩნდა. სწრაფად ადგნენ და ერთიმეორეს გაეცალნენ.

ამის შემდეგ მეტად აღარ შეჭიდებოან, პირიქით, ერთმანეთს უფრო თავაზიანად ექცეოდნენ. ვაის მასთან საკინკლათ არაფერი ჰქონდა და ისიც, ეტყობა, გრძნობდა ჩადენილი საქციელის მუხანათობას.

ცა მოიქუფრა ნათელი, ქარი ქრის ვაწწმეტებთ, თოვლი და კორინტელი, ტრიალებს თეთრი უანტელი. განა კოხი და კოშტია, ფიფქია ფუქუფულ-ფუქუფულა, ჰერი და, ბიჭი ოტიც ცივახვც წამოსკუნულა! მოფრინავს როგორც ნიბლია, ქარია, ქარაშოტია, სულ სხვა ეშნი და ხიბლი აქვს თოვლსა და თოვლში კოტრიალს!..



მხატვარი ზაურ დუნიასაძე

19733



ტყუილ-მართალი

პონდო მუხლაძე

ასე იწუებს ამბავს მართა:
 ახლა გეტყვით ტყუილ-მართალს.
 საციგაოდ გავიზარე,
 მტრისას, რაც მე დამემართა.
 გაუინული ტბა მზის სხივზე
 სარკესავით ჰრიალებს,
 თხელ ეინულზე ციგურებით
 აღმა-დაღმა ვსრიალებ.
 გუცბ: ტკაც! და ეინულჭრილში
 გადავუშვი ევლამდე,
 გავილუმე, ავძაგავდი...
 გაუძლებდით თქვენ ამდენს?
 აფართხალდი, ავღრიალდი,
 მორევიდან ვიშვერ ხელებს:
 — მომეშველეთ, ჩქარა, ჩქარა,
 ვიღუპები, მომეშველეთ!
 მოცურდა კამბალა:
 — ეინული დამბალა?!
 მოფრინდა არწივი:
 — რა მოხდა, რას წივი!
 მოკუნტრუშდა ხბო:
 — ნეტავი ვის გმობ?!
 მოიფხორა ინდური:
 — აჯახიონ უნდა ეური!
 მოფარდა აფთარი:
 — დავკენა დავთარი?

მობრძანდა ლომი:
 — დაიწყო ომი?
 მობაკუნდა თხა,
 მკითხა: — ვინა ხარ?
 მოხაჩხაქდა ვირი:
 — ოჰ, რამხელას ევირი!
 მოჭენდა ცხენი:
 — ცივია თუ ცხელი?
 მოისტუნა კალიამ:
 — შენთვის არა მცალია!
 ძლივს მოყოთა თრია:
 — ეს რა დავმართია!
 მოსრიალდა გველი:
 — რა ვქნა, რომ ვერ გშველი?!
 მოცუნცულდა ძელი:
 — მე ძალმძისო შველა.
 მობავბავდა დათვი,
 მომაწოდა თათი.
 ტოროლამ კი ჰაწიამ,
 ძაღლა ციციძე ამწია.
 მომუნძულდა მგელი,
 მომაშველა ხელი.
 მოფრთხილდა მტრედი,
 ამომიღვა გვერდით.
 დატრიალდა ნატო,
 მომასურა ჰალტო.
 მოირბინა ლილიმ,
 შემბინა ღილი.
 მერე... ჩვენმა ლეილაშ
 ბაღში გამასეირნა.

მხატვარი მანანა მორჩილაძე



სპარტა

ალბათ ბევრს გინახავთ ფილმი „სამახის სპარტელი“ და აღტაცებულებიც ხართ სპარტელების ვაჟეაცობით.

ვინ იყვნენ ისინი, სადაურები?

დიდი ხნის წინათ, პელოპონესის ნახევარკუნძულზე, ლაკონიკის ოლქში, არსებობდა ძველბერძნული ქალაქი-სახელმწიფო სპარტა (ან მეორენაირად — ლაკედემონი).

სპარტა ძლიერი მეომრული სახელმწიფო იყო და ამიტომაც მკაცრი მეომრული წესებით ცხოვრობდა. არაფერი ზედმეტი — არც ფული, არც სიმდიდრე, არც საჭმელ-სასმელი ან გართობა აქ არ აინტერესებდათ, ასე გასინჯეთ, ლაპარაკიც კი სიტყვაძვირები იყვნენ — სხარტად და ამომწურავად ამბობდნენ სათქმელს. სისადავე და პირდაპირობა იყო მათი ცხოვრების წესი, ხოლო მათი ერთადერთი საზრუნავი — თავისუფლება და უცხო ძალის დაუმორჩილებლობა.

ერთხელ თურმე დატყვევებულ სპარტელ ქალს მონად ჰყიდდნენ, „რა შვეიძლიაო“, — ჰკითხეს. „ვიყო თავისუფალი“ — მიუგო ქალმა.

სპარტელ ვაჟკაცს ჰყიდდნენ მონად. მიედველმა ჰკითხა: „პატიოსნად იქნები, რომ გიყიოდო?“ „გინდაც არ მიყიდოთ“, — უპასუხა

სპარტელმა.

მაკელონათა მეფემ კაცი გამოუგზავნა სპარტელებს, იცოდეთ, თუ პელოპონესში შემოვედი, სპარტას მიწასთან გავასწორებო. „თუ..“ — შეუთვალეს სპარტელებმა.

მოკლედ და სხარტად აზრის გამოთქმას დღესაც ლაკონიური ნათქვამი ჰქვია (სპარტა ხომ ლაკონიკის ოლქში მდებარეობდა და ლაკედემონიც ეწოდებოდა).

აი, ერთი სატყვევნოდ ცნობილი ლაკონიხი: სპარტელი დედა შვილს საომრად აგზავნი — და. ფარი მიაწოდა და უთხრა: „ამით ან ამაზე“. ფართო გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ სპარტაში, ფართე დასვენებულნი ჩამოქონდათ გამრულიად დაღუპულები.

კოჭლი სპარტელი ომში მიდიოდა. „რა გინდა, რომ მიდიხარო?“ „გასაქცევად კი არ მივდივარ, საბრძოლველადაო“.

ბრმა სპარტელი მიდიოდა ომში. „რა გინდა, რომ მიდიხარო?“ „რომ მტრის ხმალი ჩემზე დაგაჩუნგო“.

მოხუცი სპარტელი მიდიოდა ომში. „რა გინდა, რომ მიდიხარო?“ „ახალგაზრდებს აუფარებიაო“.

სპარტელებისთვის უცხო იყო ყველაფერი ტყუელურად, მოჩვენებითი.


ერთ სპარტელს სტუმარმა უთხრა, „მე შემიძლია ცალ ფეხზე შენზე მეტ ხანს ვიდგეო“. „ჩემს ბატს შენზე მეტხანს შეუძლიაო“.

სპარტელს უთხრეს, მოუსმინე ამ კაცს, ბულბულივით მდერისო. „მე ბულბულისათვის მომისმენიაო“, — უპასუხა.

სპარტელები პატივისცემით ეკიდებოდნენ მოხუცებს. ოლიმპიური თამაშების დროს ერთი მოხუცი თავისუფალ ადგილს ეკებდა, მაგრამ ყველა ადგილი დაკავებული იყო. სპარტელი ახალგაზრდების ჯგუფს რომ მიუახლოვდა, ყველა ერთბაშად წამოხტა ადგილის დასათმობად. სტადიონმა ტაში დასცხო. მოხუცმა თქვა: „ყველა ბერძენმა იცის, რა არის კარგი, მაგრამ მხოლოდ სპარტელებმა იციან კარგად მოქცევაო“.

აი, ასეთი იყო ძველბერძნული ქალაქი-სახელმწიფო ანუ პოლისი — სპარტა, რომელსაც, გაიზრდებით, და კიდევ ბევრ საინტერესო რამეს წაიკითხავთ.

თავსაცხენი



თუ ამ საახალწლო ნაძვების ტოტებზე შეკითხვების მიხედვით სწორად განალაგებთ ქართული ანბანის მშვენიერ, ხატულა ასოებს, ნაძვების ტანზე ჩაიწერება კეთილი სიტყვები ყველა თქვენგანისადმი, ყველა ქართველისადმი, ყველასადმი, ვინც იმედით შესცქერის ჩვენი ქვეყნის მომავალს.

1. ბაღჩეული მცენარე.
2. ბავშვების საყვარელი სათამაშო.
3. მარადმწვანე ხე.
4. ციტრუსი.
5. ქვეყანა ევროპაში.
6. მისაჯალი, ანუ ...
7. გაზაფხულის ყვავილი.
8. ჩუმიდ თვალიყურის დღეენება.
9. მსხლის ჯიშო.
10. ქართული ტაძარი, რომელიც დღეს თურქეთის მიწაზეა.
11. შინაური ფრინველი, რომლისგანაც ყველა ქართულ ოჯახში ამზადებენ საახალწლო კერძს.
12. შარდ პეტოს ზღაპრის გმირი.
13. მსუნავი, ანუ ...
14. მინდორი, ანუ ...
15. სიმებიანი საკრავი.
16. პოეტი, ანუ ...

ჭიჭუე

გამოდის 1904 წლიდან.

შთავარი რედაქტორი
რეკვაზ იხანოშვილი

სარედაქციო კოლეგია: გოშარდ ამბო-პაძე, მანანა ანთიმძე, ლამარა ბაბუა, სოსილე გომიბერიძე, მერი ლავიტა-ფიცი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლილია მრამე, გულა ლოსიაბერიძე, გავაყა მრგვლიშვილი, ჯურხა ნა-ღირაძე, თინათინ ნაღაური (პ./მე. მღვიანი), გივი თმალაძე, გივი ზი-პინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
პიორბი რიხიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ნელი წარეკიძე

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის – თბილისი, კოსტავას 14. ტელ: ში. რედაქტორის 92-41-30, 93-98-16; პ/მე. მღვიანის 93-10-32, 93-98-18; საშხ. რედაქტორის – 93-98-18; განყოფილე-ბების 93-98-19.

გადაეცა ასაწეობად 5.11.90 წ. ხელმო-წერილია დასაბუჭდად 20.02.90 წ., ქა-ლედის ზომა 60x90¹/₈ ფიხ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვეთა № 2389.

ყვავი ნახატი
ბმსო ხილაშვილი

«Диала» (Утро)
Главный редактор Реваз Иванишви-ლი (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси ул. Костава, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 141.500. заказ № 2389.

